საავტორო უფლების დათმობა

ქ. თბილისი

05.08.2016წ.

მე, დავით მელაძე პ/ნ N01001017562, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი, გლდანის მასივი, მეორე მ/რ, კორპ 19, ბინა 22, ვუთმობ საავტორო უფლობას შპს ,,ბილდ ჯორჯია"-ს - ს/კ 405085731 მიწის ნაკვეთზე მდებარე ქ. თბილისი, დასახლება ვაზისუბანი, მიკრო-რაიონი მე-3, კვ. მე-2 პატარიძის ქუჩის მიმდებარედ ს/კ 01.17.07.011.057 ჩემს მიერ შესრულებულ, მერიის არქიტექტური სამსახურში შეთანხმებულ და დამტკიცებულ პროექტზე AR1423647 ბრძანება № 2697733.

შპს ,,ბილდ ჯორჯია"-ს ვანიჭებ უფლებამოსილებას, ჩემი დამატებითი თანხმობის გარეშე, თავისი შეხედულებისამებრ მოახდინოს ჩემს მიერ შესრულებული პროექტის კორექტირება და კანონმდებლობით დადგენილი ყველა მოქმედება. ასევე შპს ,,ბილდ ჯორჯია"-ს უფლება აქვს საჭიროების შემთხვევაში სრული საპროექტო დოკუმენტაცია და ჩემგან მინიჭებული უფლებამოსილება გადასცეს ნებისმიერ მესამე პირს,

ვაცხადებ, რომ ზ/აღიშნულ პროექტთან დაკავშირებით შპს ,,ბილდ ჯორჯია"-ს მიმართ არანაირი პრეტენზია არ გამაჩნია და არც შემდგომში, მექნება.

დავით მელაძე ---------- დავით მელაძე

საქართველო
სანოტარო აქტი

ორიათას თექვსმეტი წლის ხუთ აგვისტოს, **მე, ნოტარიუს ნანა ბაკურაძეს** ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №76, პირველი სართული, მომმართა **დავით მელაძემ.** მან წარმოადგინა **განცხადება საავტორო უფლების დათმობის თაობაზე** და მოითხოვა მასზე თავისი ხელმოწერის სინამდვილის სანოტარო წესით დამოწმება.

მე დავადგინე მისი პირადობა, მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **დავით მელაძემ** (დაბ. 22.12.1973წ. თბილისში, რეგისტრირებული მისამართზე თბილისი გლდანი, I მ/რ, კორპ. 19, ბინა 22, პ/მ №ბ 0233279, პირადი: 01001017562, გაც. თბილისის გლდანის პოლიციის სამმართველოს მიერ 18.03.1999წ.) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მან განაცხადა, რომ **განცხადება** ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგაც ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მას.

რასაც ვამოწმებ.

გადახდილია სანოტარო მომსახურეობის საზღაური (წინამდებარე განცხადების 1 ეგზემპლიარზე შესრულებული 1 ხელმოწერის დამოწმებისათვის) 2 ლარი (თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №507-ის 31-ე მუხლისა), აგრეთვე დ.ღ.გ 0 ლარი და 36 თეთრი (თანხმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169 მუხლისა) და რეგისტრაციის საფასური 2 ლარი (თანახმად "საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება № 507-ის 39-ე მუხლისა): – სულ გადახდილია 4 ლარი და 36 თეთრი.

ნოტარიუსი _____ ნანა ბაკურაძე

საქართველო. ნოტარიუსი ნანა ბაკურაძე GEORGIA. NOTARY NANA BAKURADZE 01024030536

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N160873576
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	05.08.2016 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ნანა ბაკურაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ.თბილისი კოსტავას ქ.N76
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2 33 18 67
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	70669631303216

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ქ. თბილისი 11.02.2019წ

შპს ,,ბილდ ჯორჯია“ (ს/კ 405085731) ამ მინდობილობით უფლებამოსილებას ანიჭებს არქიტექტორ თორნიკე ერისთავს პ/N 01031001380 მოახდინოს მისამართზე ჯუმბერ ლეჟავას 1 გასასვლელი, N7, (ს/კ 01.17.07.011.057) დამტკიცებული მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობა-ნაგებობის პროექტის კორექტირება, შეათანხმოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურთან და მიიღოს ახალი სამშენებლო ნებართვა .

შპს ,,ბილდ ჯორჯია“-ს საავტორო ობიექტზე (შენობა-ნაგებობა), საავტორო უფლების დაცვაზე და ზედამხედველობაზე, პროექტის კორექტირებასა და კანონმდებლობით დადგენილ ყველა საჭირო მოქმედების შესრულებაზე, აღნიშნული უფლებამოსილების მესამე პირისთვის გადაცემაზე უფლებამოსილება გააჩნია არქიტექტორ დავით მელაძის (პ/N 01001017562) მიერ 2016 წლის 5 მაისს შედგენილი დოკუმენტით ,,საავტორო უფლების დათმობა“.

შპს ,,ბილდ ჯორჯია“

დირექტორი:/ ბორის ხატიაშვილი/

საქართველო. შპს "ბილდ ჯორჯია" * GEORGIA. "BUILD GEORGIA" LTD * 405085731